ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ინსტიტუტის მიზნებია:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა სასწავლო პროგრამის წარმართვა ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ზეპირსიტყვიერების მიმართულებით. ქართული ლიტერატურის ისტორიის უმთავრესი მონაკვეთების (ძველი, ახალი, უახლესი) და ქართული ზეპირსიტყვიერების სრული კურსის სასწავლო პროგრამების მომზადება და სწავლების ორგანიზება ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტთათვის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეებზე. სამაგისტრო და სადოქტორო მიმართულების სტუდენტთათვის, უპირატესად ჰუმანიტარული მიმართულების ფაკულტეტის და, ასევე, სტუდენტთა სურვილის შემთხვევაში, სხვა ფაკულტეტის სტუდენტთათვის სასწავლო კურსების მომზადება და სწავლების ორგანიზება.

2. ქართული ლიტერატურის ისტორიის და ზეპირსიტყვიერების მიმართულებით სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვა და წარმართვა: სტუდენტთა სამეცნიერო მოხსენებების ხელმძღვანელობა, სესიების და კონფერენციების ორგანიზება.

3. ინსტიტუტის ბაზაზე და თანამშრომელთა მონაწილეობით ყოველწლიურად ჩატარება საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლისა უცხოელ და ქართველ სტუდენტთა მოსამზადებლად ქართველოლოგიური საქმიანობისათვის. ყოველწლიურად ჩატარება ზამთრის ქართველოლოგიური სკოლა-კონკურსისა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და დამამთავარებელი კლასების მოსწავლეთათვის.

ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების მიმართულებებია:

1. ინსტიტუტი სისტემატურად ატარებს საუნივერსიტეტო და საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენციებს და სიმპოზიუმებს, არა მხოლოდ ინსტიტუტის თანამშრომელთა, არამედ საქართველოს სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებისა და უცხოეთის ჰუმანიტარული ცენტრების წარმომადგენელთა მონაწილეობით. კერძოდ, ქართველოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმები; კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სამეცნიერო სესია; თემატური სამეცნიერო სესიები მიძღვნილი ქართული მწერლობის კლასიკოსებისა და ცნობილ მეცნიერთა საიუბილეო დღეებისადმი.

2. ინსტიტუტის ბაზაზე დაარსებულია და ინსტიტუტის თანამშრომელთა საქმიანობით რეგულარულად გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგი“, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული, ქართულ და ინგლისურ ენებზე წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ პერიოდულად გამოიცემა ჟურნალი „ლიტერატურული კვლევები“.

3. ინსტიტუტის თანამშრომელთა ცალკეული ჯგუფების მიერ ხორციელდება საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო პროექტები, რომელთა შედეგები ქვეყნდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Institute of the History of Georgian Literature

The Institute's Goal

1. Organizing the study program in the field of the History of Georgian Literature and Folklore for the students of the faculty of humanities, Tbilisi State University. Arrangement of the basic educational programs for the major parts of the History of Georgian Literature (old, new and the latest)and a complete programs of Folklore as well as the study process for the students of Georgian philology on the level of Bachelor's and Master's degree.
Arrangement of the educational courses and an organization of the learning process for the students of Ph.D and Master's Degree, primarily for those of faculty of humanities as well as for others in case of interest.
2. Planning and operating scholarly activities for students in the field of the History of Georgian Literature and Folklore as well as a guidance of scholarly presentations of the students and organizing sessions and conferences.
3. Arrangement annual International Summer School in Kartvelian/Georgian Studies designed to train foreigners as well as Georgian students. Annual Winter School in Kartvelian Studies will hold for the University students and high schools.

Directions of scientific research:

1. Scholarly conferences and Symposiums of local as well as international importance are regularly held with the participation of the staff of the Institute and those of various Georgian educational and scholarly Institutions as well as the representatives of foreign educational centers of humanities. In particular, International symposiums in /Kartvelian/Georgian Studies, annul scholarly session in the honor of K. Kekelidze; thematic scholarly sessions dedicated to the famous Georgian writers and Jubilees of prominent scholars.
2. On the basis of the Institute twice a year, an electronic as well as a printed version of the international, bilingual (Georgian-English) journal 'The Kartvelologist" is released.
The staff of the Institute regularly releases a journal "The Literary Studies".
3. Professors of the Institute perform the scholarly projects of international importance the outcome of which is released not only in Georgia but also abroad.